ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 24-23

"11" აპრილი 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 300320000.35.101.016062) და დადგენილებით დამტკიცებულის წესის:

ა) მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურის ოდენობა:

ა) უძრავი ქონების აუქციონში გამარჯვებულისთვის (ქონების საკუთრების ან/და

სარგებლობის უფლებით შემძენისთვის) შეადგენს 350 ლარს;

ბ) მოძრავი ქონების ან/და აქციების/წილების აუქციონში გამარჯვებულისთვის შეადგენს 100 ლარს.“

გ) მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ ლოტში შედის რამდენიმე უძრავი ნივთი, უძრავ ქონებაზე საკუთრების და/ან სარგებლობის უფლების აუქციონში გამარჯვებული ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფასურთან ერთად იხდის აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურს – 200
ლარს, ყოველ დამატებით უძრავ ნივთზე. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების და/ან სარგებლობის
უფლების აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური ასევე მოიცავს საჯარო რეესტრში უფლების 4 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის საფასურს.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**